სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60697638103823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230634817

რეგისტრაციის თარიღი

17.05.2023 წ

ნოტარიუსი: ნინო თოფურია
მისამართი: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 179-ა, ბინა 15 (პირველი სართული)
ტელეფონი: 2348157

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ჩვიდმეტ მაისს მე, ნოტარიუს ნინო თოფურიას, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №179ა, ბინა 15 (პირველი სართული), *შპს „ვინილია ვაინ“-ის* (იურ. მისამართი: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჩარგლის ქ. 79, #61, ს/კ 400047123, ელ. ფოსტა: zzdolidze@gmail.com; რეგისტრაციის თარიღი 04/05/2012) *სახელით მომმართა მისმა დირექტორმა - ზაზა დოლიძემ* (დაბ. 29.04.1981წ. რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, სოფრომ მგალობლიშვილის ქ. N 7, ბ. 16, პ/მ 13IH88432, პირადი #01023003897, გაც. 19/12/2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ), რომლის უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B 21071021, 14/07/2021 01:11:07), განმიცხადა, რომ სურს მიწდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მიწდობის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის საფუძველზე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა, უფლებამოსილება, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მიწდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მიმდობს და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგებ. განვუმარტე აგრეთვე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს რწმუნებულს. ამ განმარტებების შემდეგ მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერა მას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ჩვიდმეტ მაისს

შპს „ვინილია ვაინ“ (ს/ნ 400047123) *წარმოდგენილი მისი დირექტორის - ზაზა დოლიძის* (დაბ. 29.04.1981წ. პ/ნ 01023003897) *სახით, შემდგომში „მიმნდობი“, კაკი ბეროძეს* (დაბ. 28.11.1991წ. პ/ნ 41001028043), *შემდგომში „რწმუნებულს“ ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას: **ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. 63-ში მდებარე ფართზე (ს/კ 01.16.01.008.005.01.02.012) სარეკლამო აბრის განთავსებასთან, ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით,*** იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ, კომერციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში (მათ შორის, ნებისმიერ სამინისტროში, მერიაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მუნიციპალიტეტში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საამზომველო ფირმაში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, არქივში, საჯარო რეესტრში, იუსტიციის სახლში და სხვა); ჩემი სახელით გააკეთოს ნებისმიერი შინაარსის განცხადება/თანხმობა, წარადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი შინაარსის ცნობა, მოწმობა, დოკუმენტი, დუბლიკატი, ინფორმაცია, ამონაწერი, ნებართვა (მათ სორის მშენებლობის, სარეკლამო აბრის განთავსების შესახებ), გეგმა, პროექტი, საკადასტრო, სიტუაციური ნახაზი და სხვა; საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს პროექტის კორექტირება, მშენებლობა, დამთავრებული შენობის ან/და ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება, ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვა, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც პირდაპირ მითითებული არ არის წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად. ***მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 17 მაისის ჩათვლით.*** ***<u>მინდობილობა გაცემულია ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების გასხვისების და ყოველგვარი ვალდებულებებით დატვირთვის</u>*** ***უფლების გარეშე.*** აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნინო თოფურიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი მიეცა მიმნდობს ხელზე. მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, დანართის სახით თან ერთვის 1 დოკუმენტი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B 21071021, 14/07/2021 01:11:07). სანოტარო მომსახურებისათვის გადახდილია საზღაური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გადახდევინების წესის შესახებ" 29.12.2011წ. საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა ***30*** ლარი და 39-ე მუხლისა "ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის", ***5*** ლარი. სულ გადახდილია 35 ლარი.

„მიმნდობი“: ზაზა დოლიძე

ნოტარიუსი: ნ. თოფურია